



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



KA000028821171317

0900 ქ. ახმეტა, ბილიყაშვილის ქ. 14/9 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 66  
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 47

10 / აგვისტო / 2017 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ად<sup>1</sup> ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

## გ ა დ ა რ ე ვ ი ბ ა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავე) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222, ფართობი - 96 144 კვ.მ) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 1916.0 ლარით.
2. განკარგულება გვეზღვნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ასევე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე



თამარ ცერინიშვილი